

საქართველოს კანონი მობილიზაციის შესახებ

ეს კანონი არეგულირებს საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს მობილიზაციის გამოცხადების, აგრეთვე მშვიდობიან პერიოდში მობილიზაციისათვის მზადყოფნის წესს, პირობებს და მობილიზაციის რეჟიმთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მობილიზაციისათვის მზადყოფნა – მშვიდობიანობის პერიოდში მიმდინარე ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკის, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების შექმნას საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს სამხედრო ძალების მზადყოფნისათვის და სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის;

ბ) მობილიზაცია – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს შექმნილი სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის გამოყენებას (მობილიზაცია შეიძლება იყოს როგორც საერთო, ისე ნაწილობრივი);

გ) საერთო მობილიზაცია – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება საომარი მდგომარეობის დროს და ითვალისწინებს საომარი მდგომარეობის საჭიროებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების სრულ გამოყენებას;

დ) ნაწილობრივი მობილიზაცია – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება საგანგებო მდგომარეობის დროს და ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის განსაზღვრულ ოპერატიულ მიმართულებებზე ან/და შესაბამის რეგიონებში სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების ნაწილობრივ გამოყენებას.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა მობილიზაციის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა მობილიზაციის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებ ებ ისა და შეთანხმებ ებ ის, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 3. მობილიზაციის პრინციპები

მობილიზაციის პრინციპებია:

- ა) ცენტრალიზებული მართვა;
- ბ) წინასწარი მზადება;
- გ) მობილიზაციისათვის მზადყოფნა;
- დ) გეგმურობა;
- ე) კომპლექსურობა;
- ვ) კოორდინაცია და კონტროლი.

მუხლი 4. მობილიზაციის არსი

მობილიზაციის არსია:

ა) მობილიზაციისათვის მზადყოფნის და მისი სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კერძო სამართლის იურიდიული პირების მუშაობის რეჟიმის განსაზღვრა და მათი მომზადება მობილიზაციის დროს სამუშაოდ;

გ) აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კერძო სამართლის იურიდიული პირების მობილიზაციის რეჟიმზე გადასაყვან ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) სამხედრო ძალების მობილიზაციისათვის მომზადება;

ე) სამხედრო ძალების გადაყვანა საომარ ან/და საგანგებო მდგომარეობაზე;

ვ) საქართველოს ეკონომიკის, სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმების შემუშავება;

ზ) საქართველოს სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობის შეფასება;

თ) სამობილიზაციო რეზერვების შექმნა, შენარჩუნება და განვითარება მობილიზაციის დროს სახელმწიფოს, სამხედრო ძალებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

ი) მობილიზაციის დროს სამხედრო ძალებისათვის მისაწოდებელი ტექნიკის მომზადება;

კ) სამობილიზაციო რეზერვებში მატერიალური ფასეულობების, სასურსათო და არასასურსათო საქონლის,



- ნავთობპროდუქტების ხელშეუხებელი მარაგის შექმნა, დაგროვება, შენახვა და დროულად განახლება;
- ლ) მობილიზაციის დროს მოსახლეობის სურსათით და არასასურსათო საქონლით მომარაგებისათვის მზადება და ორგანიზაცია, სამედიცინო დახმარებით, ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფა;
- მ) აღმასრულებელი ხელისუფლების მართვის პუნქტის შექმნა და მომზადება მობილიზაციის დროს სამუშაოდ;
- ნ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მომზადება მობილიზაციის დროს სამუშაოდ;
- ო) აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში რეზერვისტთა დაჯავშნა მობილიზაციის დროს მოქმედ ეკონომიკის შესაბამისი დარგის ობიექტებზე სამუშაოდ;
- პ) სწავლება და ვარჯიში სამობილიზაციო გაშლისა და სამობილიზაციო გეგმების შესასრულებლად.
- საქართველოს 2003 წლის 27 თებერვლის კანონი №1977 - სსმ I, №7, 26.03.2003 წ., მუხ.39*
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

თავი II. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის სფეროში

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 5. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებანი

- საქართველოს პარლამენტი:
- ა) განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას მობილიზაციის სფეროში;
- ბ) ახორციელებს მობილიზაციის სფეროს საკანონმდებლო რეგულირებას, ამტკიცებს ხარჯებს ამ დარგში;
- გ) ახდენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციას, დენონსირებას და გაუქმებას მობილიზაციის სფეროში.

მუხლი 6. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი

- საქართველოს პრეზიდენტი:
- ა) საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეს გადაწყვეტილება შეაქვს საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად;
- ბ) საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში გამოსცემს განკარგულებას სამობილიზაციო რეზერვიდან მატერიალურ ფასეულობათა გაცემის შესახებ;
- გ) გამოსცემს ნორმატიულ აქტებს მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის სფეროში;
- დ) უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, დაწესებულებების კოორდინირებულ მოქმედებას მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის სფეროში;
- ე) განსაზღვრავს მობილიზაციისათვის მზადყოფნის და მობილიზაციის მიზნებსა და ამოცანებს;
- ვ) (ამოღებულია - 27.09.2013, №1389);
- ზ) უფლებამოსილია მობილიზაციის დროს სამხედრო ძალებში გაწვევა გადაუვადოს მოქალაქეებს, აგრეთვე შეაჩეროს მათი გაწვევის გადავადების შესახებ უკვე მიღებული გადაწყვეტილება.
- საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.*
საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1389 - ვებგვერდი, 09.10.2013წ.

მუხლი 7. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილებანი

- აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში:
- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საქართველოს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტთან შეთანხმებით ახორციელებენ სამობილიზაციო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა დაგროვების, შენახვის, მიწოდების, გაცემის, განახლების, შეცვლის, ჯავშნიდან მოხსნის, გაშვების ოპერაციებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ბ) ახორციელებენ სამობილიზაციო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა შენახვას (სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებულ საცავებში), მომსახურებას და მასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებას, აგრეთვე მატერიალურად საპასუხისმგებლო შენახვის კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) ახორციელებენ სამობილიზაციო მარაგის, სამობილიზაციო და სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების, აგრეთვე სურსათის, სამედიცინო საქონლის, ნავთობპროდუქტების ხელშეუხებელი, შეუმცირებელი მარაგების შექმნას, დაგროვებას, შენახვას, განახლებას;
- დ) სამობილიზაციო რეზერვების შექმნის მიზნით დებენ ხელშეკრულებებს საწარმოებთან, მათ მიერ სამობილიზაციო დავალებების (შეკვეთების) შესრულების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;



- ე) ხელმძღვანელობენ მობილიზაციისათვის მზადყოფნას;
 - ვ) ხელმძღვანელობენ თავიანთი სტრუქტურული ქვედანაყოფების, საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოების, ასევე მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების სამობილიზაციო მომზადების განხორციელებას;
 - ზ) მონაწილეობენ სამობილიზაციო გეგმების შემუშავებაში;
 - თ) მონაწილეობენ სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში;
 - ი) ორგანიზებას უწევენ სამობილიზაციო მომზადების და მობილიზაციის სამეცნიერო, მატერიალურ-ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას;
 - კ) მართავენ სამობილიზაციო მომზადების პროცესს და კონტროლს უწევენ მის სტატისტიკურ ანგარიშგებას;
 - ლ) მობილიზაციის გამოცხადებისას ორგანიზაციას უწევენ სამხედრო ძალების მობილიზაციის რეჟიმზე გადაყვანის ღონისძიებათა კონტროლს;
 - მ) მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით ორგანიზებას უწევენ საქართველოს ეკონომიკის შესაბამისი დარგების მობილიზაციის დროისათვის დაწესებული მუშაობის რეჟიმზე გადაყვანას;
 - ნ) მობილიზაციისათვის მზადყოფნის პერიოდში ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, საქვეუწყებო დაწესებულებებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში მომუშავე რეზერვში მყოფ მოქალაქეთა სახალხო მეურნეობისათვის დაჯავშნის პროცესს;
 - ო) ორგანიზაციას უწევენ სამობილიზაციო გაშლისა და სამობილიზაციო გეგმებით შესასრულებელ სწავლებასა და სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშის ჩატარებას;
 - პ) მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში ორგანიზაციას უწევენ სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებული მისაწოდებელი ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, საჯარისო ტიპის ავტოკოლონების და სხვა სამობილიზაციო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა გადაცემას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - ჟ) უზრუნველყოფენ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში მობილიზაციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესრულებას.
- საქართველოს 2005 წლის 10 ივნისის კანონი №1609 - სსმ I, №33, 01.07.2005 წ., მუხ.203*
საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1389 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

მუხლი 8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი და ფუნქციები

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ამ კანონის მე-7 მუხლის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებში მოცემული ფუნქციების შესრულების გარდა:
- ა) ორგანიზებას უწევენ და უზრუნველყოფენ სამობილიზაციო მომზადებასა და საქმიანობას;
 - ბ) უზრუნველყოფენ ამ კანონის, აგრეთვე სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის სფეროში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების სხვა აქტების შესრულებას;
 - გ) ამუშავებენ ადგილობრივ სამუშაო გეგმებს;
 - დ) ახორციელებენ ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების ღონისძიებებს;
 - ე) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან შეთანხმებით ახორციელებენ ღონისძიებებს სამობილიზაციო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად;
 - ვ) საწარმოებთან დებენ ხელშეკრულებებს პროდუქციის მიწოდების, სამუშაოების შესრულების, ძალებისა და საშუალებათა გამოყოფის შესახებ და სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის ღონისძიებების განსახორციელებლად მომსახურების გაწევაზე;
 - ზ) მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში ორგანიზებას უწევენ დადგენილი წესით სამხედრო სამსახურში გაწვევას, მოქალაქეთათვის შეტყობინებას და მათ გამოცხადებას შემკრებ პუნქტებში ან სამხედრო ნაწილებში, აგრეთვე სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებული მისაწოდებელი ტექნიკის, შენობა-ნაგებობების, კომუნიკაციების, მიწის ნაკვეთების, სატრანსპორტო საშუალებების, სხვა სამობილიზაციო რეზერვებისა და მატერიალურ ფასეულობათა გადაცემას საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
 - თ) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებს წარუდგენენ წინადადებებს სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის განხორციელების სრულყოფის საკითხებზე.
- საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.*
საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1389 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

თავი III. სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და მოქალაქეთა მოვალეობანი მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის დროს

საქართველოს 2003 წლის 27 თებერვლის კანონი №1977 - სსმ I, №7, 26.03.2003 წ., მუხ.39

მუხლი 9. სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობანი



1. სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ამ კანონის მე-7 მუხლის „ა“– „დ“ ქვეპუნქტებში მოცემული ფუნქციების გარდა მოვალენი არიან:

ა) ორგანიზაცია გაუწიონ და განახორციელონ სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ბ) მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის დროს დანიშნონ ცალკეული მუშაკები სამობილიზაციო ამოცანების შესასრულებლად;

გ) დაამუშაონ მობილიზაციის გეგმები თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში;

დ) მობილიზაციის დროისათვის განახორციელონ ღონისძიებანი წარმოების მოსამზადებლად სამობილიზაციო დავალებების (შეკვეთების) შესრულებისათვის;

ე) შეასრულონ სამობილიზაციო დავალებები (შეკვეთები), რომლებიც მიღებული აქვთ მათ მობილიზაციისათვის მზადყოფნის და მობილიზაციის უზრუნველყოფის მიზნით;

ვ) მობილიზაციის გამოცხადებისას განახორციელონ ღონისძიებები საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს წარმოების მუშაობის შესაბამის რეჟიმზე გადასაყვანად;

ზ) უზრუნველყონ სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდება სამხედრო კომისარიატების ტექნიკის შემკრებ პუნქტებში ან სამხედრო ნაწილებში;

თ) გადასცენ სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები, კომუნიკაციები, მიწის ნაკვეთები, სატრანსპორტო და სხვა სამობილიზაციო რეზერვების მატერიალური ფასეულობები შესაბამის დაწესებულებებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი) უზრუნველყონ სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე რეზერვისტთა დაჯავშნა და დაჯავშნის შესახებ ანგარიშგების წარდგენა ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებში.

2. კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირები, როგორც წესი, ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ სამობილიზაციო დავალებებს (შეკვეთებს), ზიანის მიყენების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მისი შემდგომი ანაზღაურების პირობით.

მუხლი 10. მოქალაქეთა მოვალეობანი

1. მოქალაქეები მოვალენი არიან:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილების გამოძახებით გამოცხადდნენ და მიიღონ განსაზღვრული დავალება მობილიზაციის დროს;

ბ) შეასრულონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილებიდან მიღებული, სამობილიზაციო უწყებით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) მობილიზაციის დროს გადასცენ სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების საჭიროებისათვის ქონება, შემდგომი სათანადო ანაზღაურებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მობილიზაციისა და ომის დროს მოქალაქენი დადგენილი წესით შეიძლება ჩაბმულ იქნენ სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების საჭიროებისათვის წარმოებულ სამუშაოთა შესრულებაში.

3. მოქალაქეებს მობილიზაციისათვის მზადყოფნის და მობილიზაციის დროის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1543 - სსმ I, №21, 12.07.2002 წ., მუხ.88

თავი IV. მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის ორგანიზაციული საფუძვლები

მუხლი 11. სამობილიზაციო მომზადების და მობილიზაციის ორგანიზება და წესი

1. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამხედრო ძალების მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. საქართველოს ეკონომიკის მობილიზაციისათვის მომზადებისა და მობილიზაციის ორგანიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირები პერსონალურად არიან პასუხისმგებელი მობილიზაციისას და მობილიზაციისათვის მზადყოფნისას მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 12. სამობილიზაციო ორგანოები

1. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ სამობილიზაციო დავალებები (დაკვეთები) ან დასახული აქვთ სამობილიზაციო სამუშაოების ჩატარების ამოცანები, სამობილიზაციო ღონისძიებების ქმედუნარიანობის ამაღლების მიზნით თავიანთ სტრუქტურაში ქმნიან სამობილიზაციო ორგანოებს.



2. სამობილიზაციო ორგანოების ხელმძღვანელები უშუალოდ ექვემდებარებიან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების შესაბამის ხელმძღვანელებს, თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელს, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესაბამის ხელმძღვანელებს.

3. სამობილიზაციო ორგანოებისა და სამობილიზაციო მოსამსახურეთა დაფინანსება ხორციელდება:

ა) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში – მათთვის ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში – შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან;

გ) სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში – საკუთარი შემოსავლებიდან.

4. ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამობილიზაციო ორგანოების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1389 - ვებგვერდი, 09.10.2013წ.

მუხლი 13. სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება

1. კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სამხედრო ძალების საჭიროებისათვის მობილიზაციის დროს წესდება სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება.

2. სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შექმნილ სამობილიზაციო რეზერვების შემადგენლობაში არსებულ სახელმწიფო საავტომობილო, საჯარისო ტიპის ავტოკოლონებზე, რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, მილსადენი, საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტის საშუალებაზე, მოტოციკლებზე, სარეწ და სპეციალურ გემებზე, ტრაქტორებზე, მისაბმელებსა და ნახევარმისაბმელებზე, საგზაო-სამშენებლო და ამწესატრანსპორტო მანქანებსა და მექანიზმებზე, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრე მოქალაქეებზე (შემდგომი ანაზღაურების პირობით). სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება ვრცელდება აგრეთვე ნავსადგურებზე, ნავმისადგომებზე, აეროპორტებზე, ნავთობბაზებზე, საწვავის გადასატუმბ ბაზებზე, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებსა და სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობის უზრუნველყოფ სხვა ორგანიზაციებზე.

3. საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო სატრანსპორტო საშუალებათა ამოღება აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, სახელმწიფო საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან ხორციელდება უსასყიდლოდ, ხოლო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან – შემდგომი სათანადო ანაზღაურებით. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოღებული სატრანსპორტო საშუალების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად შედგენილი პრეისკურანტისა და ცვეთის ფასდაკლების გათვალისწინებით და გაიცემა საომარი მდგომარეობის დამთავრების შემდეგ.

4. საკუთრების ჩამორთმევის წესი განისაზღვრება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 14. სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის დაფინანსება

1. მობილიზაციისათვის მომზადება და მობილიზაციის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის სამობილიზაციო მომზადების ღონისძიებები ფინანსდება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 15. საიდუმლოების დაცვა მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის განხორციელებისას

მობილიზაციისათვის მზადყოფნის და მობილიზაციის სამუშაოთა ორგანიზება ხორციელდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საიდუმლო საქმისწარმოების საკითხებზე არსებული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვით.

თავი V. მობილიზაციის დროს რეზერვში მყოფ მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევა

მუხლი 16. მობილიზაციის დროს რეზერვში მყოფ მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევა

1. მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარებიან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩარიცხული მოქალაქენი.

2. საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვის დაკომპლექტების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.



მუხლი 17. მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ვადა და საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმა

მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ვადა განისაზღვრება საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმით, რომელსაც ბრძანებულებით განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 18. მობილიზაციის დროს რეზერვში მყოფ მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება

1. საქართველოს სამხედრო ძალების საომარ ან/და საგანგებო მდგომარეობაზე დროულად გადაყვანის მიზნით, რეზერვში ჩარიცხული მოქალაქეები წინასწარ მიეწერებიან სამხედრო ნაწილებს მობილიზაციის დროს სამტატო განრიგის მიხედვით სამხედრო თანამდებობებზე სამსახურის გასავლელად.

2. მობილიზაციის დროს სამტატო განრიგის მიხედვით რეზერვისტთა სამხედრო ნაწილებზე წინასწარი მიწერის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 19. სამხედრო სამსახურში მობილიზაციით გასაწვევ რეზერვში მყოფ მოქალაქეთა მოვალეობანი

1. მობილიზაციის გამოცხადებისას სამხედრო სამსახურში გასაწვევი რეზერვში მყოფი მოქალაქეები ვალდებული არიან გამოცხადდნენ შემკრებ პუნქტში რაიონის, ქალაქის სამხედრო კომისარიატების მიერ გამოგზავნილ სამობილიზაციო უწყებით ნაჩვენებ დროს.

2. სამხედრო აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს ეკრძალებათ მობილიზაციის გამოცხადების მომენტიდან რაიონის, ქალაქის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილების ნებართვის გარეშე საცხოვრებელი ადგილიდან გასვლა, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით შეზღუდულია საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები.

საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1543 - სსმ I, №21, 12.07.2002 წ., მუხ.88

თავი VI. რეზერვში მყოფ მოქალაქეთა დაჯავშნა

მუხლი 20. მოქალაქეთა დაჯავშნა

1. დაჯავშნას დაქვემდებარებული მოქალაქეები საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან.

2. მოქალაქეთა დაჯავშნას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შექმნილი საქართველოს ეკონომიკისათვის მუშახელის დაჯავშნის სახელმწიფო კომისია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. რეზერვში მყოფი მოქალაქეები, გარდა პირველი თანრიგის რეზერვისტებისა, იჯავშნებიან საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობის შენარჩუნების მიზნით.

საქართველოს 2000 წლის 11 მაისის კანონი №295 - სსმ I, №17, 12.05.2000 წ., მუხ.41

საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1543 - სსმ I, №21, 12.07.2002 წ., მუხ.88

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

თავი VII. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 21. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს 1999 წლის 1 სექტემბრამდე გამოსცეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) სამობილიზაციო რეზერვების შექმნისა და განკარგვის პირობების შესახებ;

ბ) საქართველოს ეკონომიკის მობილიზაციისათვის მზადყოფნის, ეკონომიკის შესაბამისი დარგების მობილიზაციის დროისთვის დაწესებული მუშაობის რეჟიმზე გადაყვანისა და მობილიზაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ;

გ) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, სამხედრო ძალების მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და მობილიზაციის წესის შესახებ;

დ) სამობილიზაციო ორგანოების შესახებ;

ე) საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის შესახებ.

თავი VIII დასკვნითი დებულება

მუხლი 22. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



საქართველოს პრეზიდენტედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,

1999 წლის 23 ივნისი.

№2150-IIs

